

თუნჯარელი მეტილისმენი

წამოველ მუნით და მოველ ქვეყანასა თუნჯარისასა. მუნ მრავალი ტილისმა და გრძნება იციან. ასეთი ჭკუათამყოფელი კაცი არ მივა, მათი რამ გაიგოს.

ძველთაგან ვისმე ერთი კლდე გამოუხვრეტია შიგ დიდს მთაშია და და შიგნით კამარებით ერთის დღის სავალი შეუკრავს ბნელითად და ერთი დიდი რკინის კარი შეუბამს და ასეთი ტილისმა დაუცხ: წელიწადში ერთხელ გაელევა, ექვსსა ჟამსა ღია არის და აგრევ დაიხშვის. მას შიგან ტყავის ქარტების წიგნები შეუკრავს და ზედ არაბულად ტილისმანი და გრძნებანი დაუწერია.

ვისაც მისი სწავლა უნდა, ერთის წლის ნუზოს და მის სანთელ მზას იქმს და მას კარზე დადგება. რა გაიღება, შევა. წლამდის შიგ უნდა იყოს, მონახოს. რა ძნელი ტილისმა უმდა, ჰპოებს და გარდასწერს. რაც გრძნება უნდა, მუნ შეიგნებს და რა წელიწადზე კარი გაელევა, გამოვა, და რაც უნდა აქმს.

აწ მე მუნ ვიყავ, და ამბავი მოვიდა და მე კი თვალით არ მიინახავს.